ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

472
1966

კრებული
СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მარტი

Разреш. до
25/II 39 г.

თბილისი — 1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-66 წ. ანაწყობის ზომა 6×9¹/₈.
ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,5.

ტირაჟი 5000. უე—01100 შეკვ. № 452.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

10360

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს 1965 წლის 18 დეკემბრის ერთობლივი

დადგენილება

სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ

ესთეტიკური აღზრდის საქმის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივმა დათვალიერებამ. აღნიშნული ღონისძიების შედეგად ზოგიერთ საბავშვო ბაღში (ბაგა-ბაღში) ძირფესვიანად გარდაიქმნა მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების რაციონალურად და დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს. თანამედროვე ესთეტიკური და პედაგოგიური მოთხოვნილების შესაბამისად გაფორმდა ზოგიერთი საბავშვო ბაღის შენობის ინტერიერი; შეიცვალა დგამ-ავეჯი, ინდივიდუალური გემოვნებით გადაწყდა კედლების, ავეჯისა და ქსოვილების ფერთა შეხამების საკითხი. დათვალიერებამ განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები ძალზედ გადატვირთულია ბავშვებით, რაიონის ხელმძღვანელობის, საშეფო ორგანიზაციებისა და მშობელთა კომიტეტების აქტიური დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა. სკოლამდელი დაწესებულებები მაქსიმალურად იყენებენ არსებულ შესაძლებლობას ბავშვთა ესთეტიკური, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის, დიდი ყურადღება ექცევა შენობისა და ეზოს კეთილმოწყობას, პედაგოგიურ-მომსახურე პერსონალისა

და ბავშვთა ჩაცმულობას. ორჯონიკიძის რაიონის საბავშვო ბაღე-
ბიდან დათვალიერების შედეგად მოწონება დაიმსახურეს № 1 საბა-
ბავშვო ბაღმა (გამგე ქ. კაკუშაძე—ორი ასაკობრივი ჯგუფის ოთა-
ხის მოწყობილობა, საძინებელი ოთახი, მუსიკალური დარბაზი,
ეზო), № 53 საბავშვო ბაღმა (გამგე მ. ჩუბინიძე—შენობის რაციო-
ნალურად გამოყენება, ჯგუფის ოთახის მოწყობილობა, ეზო), № 59
საბავშვო ბაღმა (მ. ეგნატაშვილი—შენობის რაციონალურად გა-
მოყენება, ეზო), № 2 სანატორიულმა ბაგა-ბაღმა (გამგე ე. აბაში-
ძე—ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვთა ჯგუფების ოთახები (ცალ-
ცალკე, ეზო), № 30 საბავშვო ბაღმა (გამგე მ. მენთეშაშვილი—
ეზო), № 108 საბავშვო ბაღმა (გამგე ე. მაღალაშვილი—ეზო), კარგ
შედეგებს მიაღწიეს ქ. თბილისის კიროვის რაიონის № 89 საბავშ-
ვო ბაღმა (გამგე ნ. სანებლიძე—შენობის ინტერიერი, მეთოდური
კაბინეტი), № 68 საბავშვო ბაღმა (გამგე ვ. მუშეგიანი—მუსიკალუ-
რი დარბაზი, ეზოს რაციონალურად გამოყენება, მეთოდკაბინეტი),
კალინინის რაიონის № 102 საბავშვო ბაღმა (გამგე ნ. კალანდა-
რიშვილი—მუსიკალური დარბაზი, ორი ასაკობრივი ჯგუფის ოთა-
ხის მოწყობილობა), ოქტომბრის რაიონის № 10 ბაგა-ბაღმა (გამგე
ნ. რამიშვილი—ბაგისა და ბაღის ასაკობრივი ჯგუფების მოწყობი-
ლობა ცალ-ცალკე, ეზო, პედპერსონალის ჩაცმულობა), პირველი
მაისის რაიონის № 6 ბაგა-ბაღმა (გამგე ვ. მაისურაძე—ბაგის ორი
ასაკობრივი ჯგუფის მოწყობილობა, საძინებელი, ეზო), ლენინის
რაიონის № 27 საბავშვო ბაღმა (ნ. გრძელიშვილი—შენობის რა-
ციონალურად გამოყენება, მუსიკალური დარბაზი, მეთოდკაბინეტი),
ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღმა (გამგე დ. ჯაფარიძე—ეზო), № 27 საბავშ-
ვო ბაღმა (გამგე თ. ბიბილეიშვილი—შენობის ინტერიერი), № 26
საბავშვო ბაღმა (გამგე დ. კინწურაშვილი—შენობის ინტერიერი),
ქ. რუსთავის № 6 საბავშვო ბაღმა (გამგე ნ. თავდიდიშვილი—ეზო),
ქ. სოხუმის № 11 საბავშვო ბაღმა (გამგე დ. ტამბია—ეზოს ნაკვეთის
დაგეგმვა), ქ. ბათუმის № 25 საბავშვო-ბაღმა (გამგე ლ. ბაქრაძე—
შენობის ინტერიერი), ქ. ბათუმის № 26 ბაგა-ბაღმა (გამგე ა. ზე-
დგენიძე—შენობის ინტერიერი, ეზო), თელავის № 1 ბაგა ბაღმა
(გამგე ქ. გამხეტელაშვილი—სანიმუშო სისუფთავე, ბაგის ჯგუფების
მუშაობა), ზესტაფონის № 2 საბავშვო ბაღმა (გამგე თ. კობახიძე—შე-
ნობის ინტერიერი, მუსიკალური დარბაზი, ეზო), მახარაძის № 1
საბავშვო ბაღმა (გამგე მ. ტრაპაიძე—ასაკობრივი ჯგუფების მო-

წყობილობა, ეზო), მარნეულის რაიონის შაუმიანის სბავშვო ბაღ-
მა (გამგე ლ. გრიგორიანი — ჯგუფის ოთახის მოწყობილობა).

ამასთან, ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში დაბალ დონეზეა დაყენებული ესთეტიკური აღზრდის საქმე. ნაკლები ყურადღება ექცევა საალმზრდელო ჯგუფებისა და სხვა სათავსოების გაფორმებას, ავეჯის სილამაზეს და მის განლაგებას, პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის ჩაცმულობას მაგ. თიანეთის სბავშვო ბაღის (გამგე ა. ობგაიძე) ჯგუფის კედლები ქაღალდის ყვავილებითაა მორთული, კარადის ნაცვლად გამოყენებული აქვთ გაუსალაშინებელი ფიცრებისაგან შეკედილი ყუთი, რომელსაც კარების მაგიერ ძველი ქსოვილი აქვს ჩამოფარებული. ამ სბავშვო ბაღში უშინაარსოდაა გაფორმებული სათამაშო კუთხე. ჩხოროწყუსა (გამგე თ. პერტაია) და ზოგიერთ სხვა სბავშვო ბაღში ვესტიბიულების, დერეფნებისა და ზოგჯერ ჯგუფების ოთახის გასაფორმებლად იყენებენ ლოზუნგებს, რომელთა წაკითხვა ბავშვებს არ შეუძლიათ. თიანეთის ბგა-ბაღში (გამგე ლ. გონჯილაშვილი) ჯგუფის ოთახებში გაკრულია პლაკატები სამედიცინო საკ-თხებზე. ამავე სბავშვო ბაღში შოთა რუსთაველის სურათი ჩარჩოში ჩაუსმელი გამოყენებულია ღუმელის მილის დასაფარავად. ზოგიერთ სბავშვო ბაღში ნაკლები ყურადღება ექცევა სუფრის გაწყობასა და საკმლის წესიერად მიწოდებას, ხოლო ყვარლის რაიონის სოფ. ოქტომბრისა და სხვა სბავშვო ბაღებში პედაგოგიური პერსონალის ჩაცმულობას.

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობის, მათი მხატვრულად გაფორმების საქმეს;

ბ) ეს დადგენილება განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების საბჭოების სხდომებზე და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივ დათვალიერებაში კარგი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით:

ქ. თბილისიდან

1. № 1 საბავშვო ბაღი (გამგე ქ. კაკუშაძე),
2. № 53 საბავშვო ბაღი (გამგე მ. ჩუბინიძე),
3. № 59 საბავშვო ბაღი (გამგე ნ. ეგნატაშვილი),
4. № 2 სანატორიული ბაგა-ბაღი (გამგე ე. აბაშიძე),
5. № 30 საბავშვო ბაღი (გამგე მ. მენთეშაშვილი),
6. № 108 საბავშვო ბაღი (გამგე ე. მაღალაშვილი),
7. № 89 საბავშვო ბაღი (გამგე ნ. სანებლიძე),
8. № 68 საბავშვო ბაღი (გამგე ვ. მუშეგიანი),
9. № 102 საბავშვო ბაღი (გამგე ნ. კლანდარიშვილი),
10. № 10 ბაგა-ბაღი (გამგე ნ. რამიშვილი),
11. № 6 ბაგა-ბაღი (გამგე ვ. მაისურაძე),
12. № 27 საბავშვო ბაღი (გამგე ა. გრძელიშვილი).

ქ. სოხუმიდან

1. № 11 საბავშვო ბაღი (გამგე დ. ტამბია).

ქ. ბათუმიდან

1. № 25 საბავშვო ბაღი (გამგე ლ. ბაქრაძე),
2. № 26 ბაგა-ბაღი (გამგე ა. ზედგინიძე).

ქ. რუსთავიდან

1. № 6 საბავშვო ბაღი (გამგე ნ. თავდიდიშვილი).

ქ. ქუთაისიდან

1. ბაგა-ბაღი (გამგე დ. ჯაფარიძე),
2. № 27 საბავშვო ბაღი (გამგე თ. ბიბილეიშვილი),
3. № 26 საბავშვო ბაღი გამგე (დ. კინწურაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის რაიონიდან

1. № 1 ბაგა-ბაღი (გამგე ქ. გამხეტელაშვილი).

ზესტაფონის რაიონიდან

1. № 2 ბაგა-ბაღი (გამგე თ. კობახიძე).

მახარაძის რაიონიდან

1. № 1 საბავშვო ბაღი (გამგე მ. ტრაპაიძე).

მარნეულის რაიონიდან

1. სოფ. შაუმიანის საბავშვო ბაღი (გამგე ლ. გრიგორიანი).

3. სკოლამდელ დაწესებულებებისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და ეზოების კეთილმოწყობის საქმეში აქტიური დახმარებისათვის საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ აგრეთვე შემდეგი საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელები:

1. შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ამხ. ი. ფ. სარიშვილი (ქ. თბილისის № 1 საბავშვო ბაღის შეფი).

2. შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი ამხ. ა. ძნელაძე (ქ. თბილისის № 1 საბავშვო ბაღის შეფი).

3. ქ. თბილისის ვაკის პარკის დირექტორი ამხ. ნ. ხოფერია (ქ. თბილისის № 108 საბავშვო ბაღის შეფი).

4. ქ. თბილისის საბურავების სარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. ი. ებრაელიძე (ქ. თბილისის № 59 საბავშვო ბაღის შეფი).

5. ქ. თბილისის გაზის სარემონტო კანტორის დირექტორი ამხ. რ. მაისურაძე (ქ. თბილისის № 59 საბავშვო ბაღის შეფი).

6. სოიუზლიფტის დირექტორი ამხ. ვ. კუკულავა (ქ. თბილისის № 53 საბავშვო ბაღის შეფი).

7. ქ. თბილისის პურეაკრობის დირექტორი ა. ნ. ნანეიშვილი (ქ. თბილისის № 68 საბავშვო ბაღის შეფი).

8. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის დირექტორი ამხ. ვ. ა. შათირიშვილი (ზესტაფონის № 2 ბაგა ბაღის შეფი).

9. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. გ. არჩვაძე (ზესტაფონის № 2 ბაგა-ბაღის შეფი).

10. ქ. ქუთაისის მინისტარის ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ჩანკვეტაძე (ქ. ქუთაისის № 27 საბავშვო ბაღის შეფი).

11. ქ. ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ამხ. გრ. რუხაძე (ქ. ქუთაისის № 26 საბავშვო ბაღის შეფი).

აღინიშნოს, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივ დათვალიერებებში არ ჩააბეს სკოლამდელი დაწესებულებები აბაშის, ახმეტის, ახალქალაქის, ყაზბეგის, მესტიის, თიანეთის, ხობის, წალენჯიხის, წალკის, ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებმა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**	საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტი **დ. ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 დეკემბრის ბრძანება № 1406

სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ქსელის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ქსელი 1966 წლის 1 სექტემბრისათვის თანახმად დანართებისა (დანართები № 1, № 2, № 3 და № 4).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შტამპები და მრგვალი ბეჭდები მოიყვანონ ამ ბრძანების შესაბამისობაში.

3. საგეგმო-საფინანსო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებმა სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დოკუმენტების გაფორმება აწარმოონ ამ ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 დეკემბრის № 1406 ბრძანების დანართი № 1

ს ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალო სკოლა-ინტერნატებისა

1966 წლის 1 სექტემბრისათვის

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპეციალური სპორტული საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. ქ. სოხუმის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ქ. სოხუმის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. ქ. ბათუმის (სალიბაურის) საშუალო სკოლა-ინტერნატი
6. სოფ. კირნათის საშუალო სკოლა-ინტერნატი
7. ქ. ცხინვალის საშუალო სკოლა-ინტერნატი
8. ქ. თბილისის საშუალო სკოლა-ინტერნატი
9. ქ. ქუთაისის საშუალო სკოლა-ინტერნატი
10. ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატი
11. ქ. კაპის საშუალო სკოლა-ინტერნატი
12. ქ. ახალქალაქის საშუალო სკოლა-ინტერნატი
13. ქ. ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატი
14. აგარაკ კოჯრის საშუალო სკოლა-ინტერნატი
15. დაბა გეგეჭკორის საშუალო სკოლა-ინტერნატი
16. სოფ. ატენის საშუალო სკოლა-ინტერნატი
17. ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა-ინტერნატი
18. ქ. დუშეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი
19. სოფ. ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი

20. ქ. მარნეულის საშუალო სკოლა-ინტერნატი
21. ქ. წულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატი
22. დაბა თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 დეკემბრის № 1406 ბრძანების დანართი № 2

ს ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატებისა

1966 წლის 1 სექტემბრისათვის

1. რუსთავის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
2. სოფ. ჯავის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
3. სოფ. დრანდის ნ. ოსტროვსკის სახელობის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
4. სოფ. ბაბუშერას რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
5. სოფ. განთიადის № 1 რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
9. სოფ. განთიადის № 2 რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
7. სოფ. კალდახვარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
8. ქ. ბათუმის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
9. სოფ. მახუნცეთის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
10. სოფ. ხულოს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
11. სოფ. ჩაისუბნის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
12. დაბა ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
13. ქ. თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
14. ქ. ქუთაისის (ჭომის) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
15. ქ. ფოთის (მალთაყვის) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
16. დაბა ბოგდანოვკის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
17. ქ. ზუგდიდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
18. ქ. თელავის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
19. ქ. ახალციხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
20. ქ. მახარაძის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

21. აგარაკ ბეთანიის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინ-
ტერნატი
22. სოფ. გლდანის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
23. სოფ. სალხინოს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
24. სოფ. კაჭრეთის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
25. სოფ. საგურამოს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
26. სოფ. კიცხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
27. სოფ. ინგირის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
28. სოფ. ახალსოფლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
29. ქ. წალენჯიხის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინტერ-
ნატი
30. დაბა ყვარლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
31. ქ. ლაგოდეხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
32. ქ. ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
33. სოფ. ახალდაბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
34. სოფ. კოხნარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
35. სოფ. ბოდბის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
36. სოფ. გორდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
37. ქ. წითელწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
38. დაბა ახმეტის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
39. დაბა თეთრიწყაროს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
40. სოფ. ტაშისკარის სანატორიული რვაწლიანი სკოლა-ინ-
ტერნატი
41. დაბა ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
42. ქ. ცხაკაიას რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
43. სოფ. ბროწეულას რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
44. სოფ. მესტიის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
45. სოფ. ყაზბეგის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
46. ლენტეხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 დეკემბრის № 1406 ბრძანების დანართი № 3

ს ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლებისა

1966 წლის 1 სექტემბრისათვის

1. აგარაკ მიუსერას საბავშვო სახლი
2. დაბა მახინჯაურის საბავშვო სახლი
3. ქ. ბათუმის საბავშვო სახლი
4. სოფ. ქურთის საბავშვო სახლი
5. დაბა ლენინგორის საბავშვო სახლი
6. ქ. თბილისის საბავშვო სახლი
7. ქ. ჭიათურის № 1 საბავშვო სახლი
8. ქ. ჭიათურის № 2 საბავშვო სახლი
9. ქ. რუსთავის საბავშვო სახლი
10. დაბა სამგორის საბავშვო სახლი
11. აგარაკ კოჯრის № 1 საბავშვო სახლი
12. აგარაკ კოჯრის № 2 საბავშვო სახლი
13. აგარაკ კოჯრის № 3 საბავშვო სახლი
14. აგარაკ კოჯრის № 4 საბავშვო სახლი
15. აგარაკ კოჯრის № 5 საბავშვო სახლი
16. აგარაკ კოჯრის № 6 საბავშვო სახლი
17. დაბა გეგეჭკორის საბავშვო სახლი
18. სოფ. კარდანახის საბავშვო სახლი
19. სოფ. ახალქალაქის საბავშვო სახლი
20. დაბა ასპინძის საბავშვო სახლი
21. ქ. ონის საბავშვო სახლი
22. სოფ. ეწრის საბავშვო სახლი

23. ქ. საჩხერის საბავშვო სახლი
24. ქ. თელავის საბავშვო სახლი
25. აგარაკ შუამთის საბავშვო სახლი
26. სოფ. ვაშლოვანის საბავშვო სახლი
27. დაბა სურამის გ. დიმიტროვის სახ. საბავშვო სახლი
28. დაბა ჩოხატაურის საბავშვო სახლი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 30 დეკემბრის № 1406 ბრძანების დანართი № 4

ს ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა

1966 წლის 1 სექტემბრისათვის

1. ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა 12 წლიანი სკოლა-ინტერნატი
3. ქ. სიღნაღის ყრუ ბავშვთა რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
4. ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
5. ქ. თბილისის № 1 გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
6. ქ. თბილისის № 2 გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
7. ქ. ქუთაისის (გუმათის) გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
8. ქ. სიღნაღის გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
9. ქ. ჭიათურის გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
10. ქ. ახალციხის გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა (დამხმარე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
11. ქ. სამტრედიის სპეციალური რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **ვ. ჩინჩალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.360

ПРИКАЗ № 42 ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР от 15-го ЯНВАРЯ 1966 ГОДА

О результатах обследования учебно-воспитательной работы в школах Марнеульского района

Ознакомившись с представленной Управлением школ докладной запиской о результатах обследования учебно-воспитательной работы в школах Марнеульского района, отмечаю, что несмотря на определенные успехи, в работе школ и отдела народного образования Марнеульского района имеются серьезные недостатки в постановке преподавания отдельных учебных дисциплин, осуществлении закона о всеобщем обязательном образовании, методической работе, обеспечении школ учебно-материальной базой и т. д.

Приказываю

1. Докладную записку о результатах обследования учебно-воспитательной работы в школах Марнеульского района переслать в отдел народного образования.

2. Отделу народного образования Марнеульского района (тов. Ю. Гейдарову):

а) обсудить докладную записку на совете РОНО и наметить действенные мероприятия для устранения имеющихся недостатков;

б) усилить руководство и контроль за работой школ.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 18 декабря 1965 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. Лашкарашвили

ЭЛМИЗЕЛЕР
ЕЛЕКТРОНИКИ

МИНИСТРУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

тов. Лашкарашвили Т. В.

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА

о результатах обследования учебно-воспитательной работы в некоторых школах Марнеульского района

Бригада Управления школ Министерства просвещения Грузинской ССР в составе школьного инспектора Гаджиларова К. Х. и учителя Тбилисской 73-ей средней школы Манафлы И. А. с 16-го по 23 ноября 1965 года изучила постановку учебно-воспитательной работы в следующих средних школах Марнеульского района: Марнеульская 1-ая (директор М. Караев), Алгетская (директор Т. Човдаров), Садахлойская (директор И. Бадалов), Качаганская (директор А. Аллахвердиев), Квемосаральская (директор Р. Аббасов). В проверке приняли участие зав. Марнеульским РОНО Ю. Гейдаров, зав. педагогическим кабинетом РОНО К. Мамедов, школьные инспекторы РОНО Ш. Казизаде,, И. Эминов и методист педагогического кабинета Чилдырлы.

Проверка показала, что определенная часть учителей обследованных школ работает добросовестно и с чувством ответственности. Хорошо работают учителя: азербайджанского языка и литературы Р. Худаева (Марнеульская азербайджанская средняя школа), русского языка и литературы—Т. Исмаилов, А. Трунова (Садахлойская средняя школа), Дж. Сеидов (Качаганская средняя школа), математики Г. Керимов (Марнеульская средняя школа № 1) А. Гумбатов (Алгетская средняя школа), физики Л. Сеидов (Качаганская средняя школа), М. Керимов (Марнеульская средняя школа № 1), химии—Т. Човдаров (Алгетская средняя школа), ис-

тории и обществоведения М. Багиров (Качаганская средняя школа).

Отдел народного образования систематически изучает постановку учебно-воспитательной работы в школах района, результаты обследования обсуждает на совете по народному образованию и принимает меры для изжития выявленных недостатков.

Педкабинет РОНО в октябре с. г. провел семинар учителей математики по вопросам, связанным с прохождением элементов высшей математики в X и XI классах средних школ. Работой семинара руководил опытный учитель математики Г. Керимов

Несмотря на это в работе обследованных школ имеются серьезные недостатки.

Не стоит на должной высоте преподавание азербайджанского языка и литературы в тех классах Садахлойской средней школы, в которых этот предмет преподают учителя И. Мамедов, Г. Джалилов. Указанные учителя тексты диктантов подбирают случайные, неправильно оценивают контрольные работы, не проводят анализа и исправления ошибок контрольных работ, не требуют от учащихся плана к сочинению.

Не всегда проводит анализ и исправление ошибок после контрольных работ учительница родного языка и литературы Алгетской средней школы Л. Геракова.

У этих и некоторых других преподавателей основным содержанием уроков литературы остается изолированный анализ образов художественных произведений, они не ведут необходимой работы над текстами изучаемых художественных произведений. В результате этого уроки литературы нередко носят догматический характер, не вооружают учащихся навыками самостоятельного анализа художественного произведения. Слабым местом в работе многих учителей—словесников района является неудовлетворительное руководство внеклассным чтением учащихся, в результате чего учащиеся мало читают, имеют недостаточное представление о современной советской литературе, особенно о литературе народов СССР и прогрессивной зарубежной литературе.

Слабое знание пройденного материала обнаружили по русскому языку учащиеся тех классов, в которых данный предмет

ведут учителя Шельнакова М. Н., А. Азизбеков (Садахлойская средняя школа), Х. Ахмедова (Качаганская средняя школа). Большая часть учащихся этих школ крайне слабо владеет русским языком, пишет и читает с грубыми ошибками. В письменных работах учащиеся допускают очень много ошибок фонетического, морфологического и синтаксического характера.

Указанные выше учителя медленно осуществляют перестройку преподавания, усиление практической направленности на уроках. Вместо активных форм развития речи, они ограничиваются одними определениями, заучиванием правил и готовых примеров, классные и домашние письменные работы проверяют нерегулярно, нарушают нормы оценок письменных работ и устных ответов учащихся.

Многие учителя русского языка не руководят внеклассным чтением учащихся.

Слабо поставлено преподавание математики в ряде обследованных школ.

Ввиду недостаточной работы учителя А. Досиева над повышением своего педагогического мастерства, отсутствия у него индивидуального подхода к учащимся, особенно к тем, у кого пробелы в знаниях по курсу прошлых лет, часть учащихся Vа класса Садахлойской средней школы, где арифметику преподает А. Досиев слабо знают пройденный материал, а трое учащихся даже не умеют писать и читать многозначные числа. Не на должной высоте провел учитель Досиев урок геометрии в VI классе.

Следует особо отметить безответственное отношение преподавателя Садахлойской средней школы Г. Душдурова, который алгебру и элементарные функции в XI классе проходит по старой программе, вследствие чего классом остались неизученными такие важные разделы программы, как „функции и пределы“ и „производная и её применение к исследованию функций“.

Хотя учитель А. Амирджанов (Качаганская средняя школа) хорошо владеет предметом и может его преподнести, однако он не предъявляет к учащимся необходимых требований и недостаточно прививает им навыки самостоятельного решения задач и примеров более повышенной трудности. В результате этого

контрольную работу в IX классе 19/XI-65 г. по алгебре и элементарным функциям на исследование уравнений и систем из 16 учащихся только 4 написали на положительную оценку.

Значительная часть учителей математики недостаточно тщательно проверяет классно-домашние тетради учащихся, редко заставляет учащихся решать в уме геометрические задачи, зачастую при неправильном определении, даваемом учащимся, не объясняет в чем состоит допущенная ими ошибка.

Значительными недостатками характеризуется преподавание физики в Садахлойской и Квемо-Саральской средних школах. В школах фактически нет учебных кабинетов, в том числе кабинета физики, часто уроки проводятся без применения наглядности. В Садахлойской средней школе (директор И. Бадалов, зам. директора по учебной работе Х. Набиев) уроки физики раздроблены между четырмя учителями, которые в основном преподают математику и считают преподаванье физики неприятной обязанностью. Кроме этого они чрезмерно перегружены уроками (каждый из них имеет по 32—34 урока в неделю в дневной и 5—6 уроков в вечерней школах), в результате чего не обеспечивают нормальное преподавание предмета, не проводят предусмотренного программой минимума демонстрационных и лабораторных экспериментов, недостаточно решают задачи. Особенно низкие знания по физике обнаруживают учащиеся VII классов (преподаватель С. Мургузова).

В Квемо-Саральской средней школе физику преподает студент—заочник А. Караджаев, недостаточно работающий над повышением своего педагогического мастерства, в результате чего значительная часть учащихся не разбирается даже в основных вопросах программы.

Недостаточно глубокие знания дает и учитель Ч. Амирджанов по физике в IX классе Качаганской средней школы.

Не стоит на должной высоте преподавание истории в VIII классе Садахлойской средней школы, где преподавателем работает учитель А. Полухов, который на уроках не использует наглядных пособий, не устанавливает связи между новым и старым материалом, в результате чего знания учащихся низкие. Учитель

А. Полухов на уроке истории 18/XI не завершив объяснения нового материала, перешел к его закреплению.

Слабое знание пройденного материала по химии обнаружили учащиеся VII—IX классов Алгетской средней школы, в которых данный предмет ведет учитель С. Насибов. Сам учитель С. Насибов самовольно, не получив разрешения от директора школы и зав. РОНО, с начала II четверти выехал в г. Баку для сдачи экзаменационных сессий в институте народного хозяйства, в котором состоит заочником, несмотря на то, что имеет законченное высшее педагогическое образование.

В Садахлойской средней школе химия преподается поверхностно. Мало внимания обращается на решение задач и на контрольные работы. В школе нет кабинета химии. Учащиеся имеют слабые представления о лабораторных экспериментах и химических опытах, недостаточно разбираются в химических явлениях (преподаватель М. Худиев). Как правило, значительная часть учителей химии школ района недостаточно упражняет учащихся в решении задач, почти не проводит лабораторных работ. Во всех обследованных школах лаборанты физических и химических кабинетов слабо разбираются в своих обязанностях и не проявляют интереса к своей работе, зачастую они свою работу понимают в том, чтобы содержать приборы и другие наглядные пособия в относительной чистоте и порядке.

Все еще недостаточное внимание обращается на укрепление учебно-материальной базы некоторых школ. Значительная часть школ скудно обеспечена школьной мебелью и инвентарем. Не польностью обеспечена ученическим партами Садахлойская средняя и некоторые другие школы, где в отдельных классах учащиеся сидят по 3 за одной партой.

Несмотря на наличие в селе электричества, Садахлойская школа до сих пор не электрифицирована, вследствие чего последние уроки II смены проходят при свете керосиновых ламп.

Как правило, во всех обследованных школах района в старших классах имеются по одной классной доске малого размера, что крайне затрудняет ход записей при решении более или менее сложных задач и выполнении аналогичных заданий.

Необходимо отметить, что на постановку учебно-воспитательной работы в школах Марнеульского района отрицательно повлияло также затянувшееся участие школьников V—XI классов в оказании помощи колхозам и совхозам. В результате этого в отдельных классах имеется значительное отставание в выполнении программы.

В школах района не всегда правильно осуществляются подбор и расстановка кадров. Так, в начальных классах школ Марнеульского района работает 8 преподавателей с общим средним образованием, назначенные отделом народного образования бывшего укрупненного Болнисского района.

Первым заместителем директора по учебной работе в Марнеульской средней школе № 1, являющейся опорной, в текущем учебном году назначен Мамедов Саттар, который окончил факультет журналистики Азербайджанского Государственного Университета и не имеет опыта педагогической работы. Как признает сам С. Мамедов, он не в состоянии руководить педагогической работой школы.

В ряде школ района все еще недостаточно осуществляется закон о всеобщем обязательном 8-летнем обучении. Так, за истекший период текущего учебного года из школ Садахлойского сельского совета отсеялось 9 учеников и не охвачено учебой 12 детей и подростков школьного возраста, по Дамя-Геурархской 8-летней школе—отсеялось—3, не охвачено учебой—2, по Кировской 8-летней школе—соответственно 2 и 3, по Сабиркендской 8-летней школе не охвачено 7, по Кизиладжилинской 8 летней школе не охвачено 9 детей и подростков школьного возраста.

Вышеуказанные недостатки свидетельствуют о том, что директора и их заместители по учебной работе части школ Марнеульского района все еще недостаточно осуществляют руководство и контроль за учебно-воспитательной работой в школе. Занимаясь преимущественно административно-хозяйственными делами, они глубоко не вникают в содержание и методику учебного процесса, руководство и контроль за работой учителей сводят к посещению отдельных уроков, без настоящей системы и целенаправленности, а часто и без последующего анализа. Руководители школ слабо проверяют выполнение программ, равномерность оп-

роса учащихся, не требуют от учителей обязательного использования имеющихся в школе технических средств, наглядных пособий, редко проверяют дозировку и качество выполнения домашних заданий, систему работы учителя над ошибками, допущенными учащимися.

Инспектор Управления школ К. Гаджиларов

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა მასწავლებელთა დახელოვნების საკურსო ღონისძიებათა 1965 წლის შედეგებისა და 1966 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

1966 წლის 18 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად, უზრუნველყო მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების 1965 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. გეგმით გათვალისწინებული 5.000 მუშაკის ნაცვლად, კურსები გაიარა 5.135 მუშაკმა.

1965 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ადგილებზე კურსების მოწყობას, რამაც ინსტიტუტს მისცა საშუალება შედარებით მეტი მსმენელი ჩაება დახელოვნების კურსებზე.

არსებითი ხასიათის ცვლილებები იქნა შეტანილი დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში; ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გაიზარდა პრაქტიკული მუშაობის საათები, ახალი თემატიკით ჩატარდა ლექციები მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. ყველა სახის დახელოვნების კურსების პროგრამებში იყო შეტანილი საკითხები — „კომუნისტური რწმენის აღზრდა საგნის სწავლების სისტემაში“, „სწავლება და აღზრდა ერთიანი ნაკადი“, „მეორეწლიანობის დაძლევის გზები და საშუალებანი“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურსო ღონისძიებებში უფრო ქმედითად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკები.

გაუმჯობესდა კურსებზე მყოფ მსმენელთა კულტურული მომსახურება. მოეწყო მოძრავი ბიბლიოთეკები, ჩატარდა საწარმოო და სასწავლო ხასიათის ექსკურსიები და სხვ. მსმენელებს მიეცათ საშუალება ახლოს გასცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლებს, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს.

ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მუშაობის მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს ზაფხულის პერიოდში კურსებზე მყოფ საუკეთესო მასწავლებელთაგან მომხსენებლების მომზადება აგვისტოს თათბირებზე გამოსასვლელად.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, აბაშის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, მახარაძის, საგარეჯოს, თელავის და სხვ. რაიონების განათლების განყოფილებები და პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვის, შერჩევისა და კურსებზე დროულად მივლინების საქმეს, რის შედეგადაც მიაღწიეს საკურსო ღონისძიებათა გეგმების შესრულებას.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ ვერ შეასრულეს დახელოვნების გეგმები აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალქალაქის, ახმეტის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, თეთრიწყაროსა და წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებებმა.

1965 წელს დახელოვნების გეგმები არ შეუსრულებიათ ქ. თბილისის, ქ. ფოთის, ქ. რუსთავის, ამბროლაურის, ახალციხის, ქარელის, ხობისა და ჩოხატაურის რაიონების განათლების განყოფილებებს.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. თ. ა. ზახაშვილს:

ა) 1966 წელს მუშაობიდან მოუწყვეტლად, მუშაობიდან მოწყვეტით და დასწრებულ-დაუსწრებლად მოწყობილ სხვადასხვა სა-

ხის კურსებისა და კურს-სემინარების საშუალებით დაახელოვნონ 5000 მასწავლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით;

ბ) მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების სამმაინობაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს სკოლის წინაშე მდგომი აქტუალური საკითხების განხილვასა და პედაგოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება-დანერგვას.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან ერთად:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი დასახელოვნებელი კონტინგენტის შერჩევისა და კურსებზე დროულად მივლინებისათვის;

ბ) აღმოუჩინონ კმედითი დახმარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს დახელოვნების ღონისძიებათა წარმატებით ჩატარების საქმეში.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, დუშეთის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ბორჯომისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს 1966 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისათვის შემდეგი სასკოლო შენობები:

ქ. თბილისში—37-ე საშუალო სკოლა,

ქ. სოხუმში—მე-7, მე-9 და მე-10 საშუალო სკოლები,

ქ. ბათუმში—მე-4 საშუალო სკოლა,

ქ. ქუთაისში—პირველი, მე-4 და მე-20 საშუალო სკოლები,

ქ. წყალტუბოში —რუსული საშუალო სკოლა,

ქ. ზუგდიდში—პირველი საშუალო სკოლა,

ქ. ქობულეთში—პირველი საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

ქ. გუდაუთში—მე-2 საშუალო სკოლა,

ქ. ბორჯომში—მე-2 საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

ქ. თელავში—პირველი და მეორე საშუალო სკოლები,

დუშეთში—სკოლა-ინტერნატი.

4. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ (ბ. ტარბა), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ (გ. ძაგოევი), ახალციხის (ბ. ახვლედიანი), ყაზბეგის (გ. კურკუმელი), ლენტეხის (რ. შავერშიანი), მესტიის (ნ. გუჯეჯიანი), სიღნაღის (ე. დალაქიშვილი), თეთრი წყაროს (დ. ბექაური) და წალენჯიხის (ვ. ბელქანია) რაიონების განათლების განყოფილებებმა და შესაბამისმა პროფკავშირის კომიტეტებმა ა/წ 20 თებერვლამდე წარმოუდგინონ ახსნა-განმარტება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დახელოვნების გეგმების შეუსრულებლობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს სამმართველოთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ დადგენილებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში.

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

7. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობის განყოფილებებმა (ი. კვაჭაძე, ა. დადიანი) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მაღლაფერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი
საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა
დახელოვნების კურსების მოწყობის

გ ე გ მ ა

1966 წელი

№№ რიგზე	კურსების დასახელება / ვადა	ჯგუფთა რაოდენობა	მსმენელთა კონტინგენტი	მოწყვეტით თუ მოუწყვეტლად	კურსების მოქმედების ხანგრძლივობა	საათები: სულ	საათები: პრაქტიკული	კურსების მოქმედების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
	იანვარი							
1	რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა	1	30	მოწყვეტით	1 თვე	104	60	თბილისი
2	სასკოლო ინსპექტორების	1	30	„	20 დღე	84	36	„
3	ფილმოთეკების გამგეების	1	30	„	10 დღე	18	86	„
4	რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა .	1	30	მოწყ. მოუწყვეტ.	6 თვე	46	104	„
5	ბიოლოგიის მასწავლებელთა	1	30	„	7 დღე	20	4	„
6	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	4	120	„	„	20	4	„
7	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	5	150	„	„	20	4	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8	9
8	შრომის (მერქანზე, ლითონზე) მასწავლებელთა	1	30	მოუწყვეტ.	1 თვე	70	148	სამტრ.
9	სასწავლო კინოს საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების	1	30	„	15 დღე	26	130	გურჯაანი
10	სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . .	1	30	„	„	34	18	სოხუმი
11	მათემატიკის მასწავლებელთა . .	1	30	„	3 თვე	130	20	საგარეჯო
	თეგერვალი							
1	რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების	2	60	მოწყვეტით	1 თვე	120	30	თბილისი
2	ბაგა-ბაღების აღმზრდელთა . .	1	30	„	„	100	50	„
3	ფიზიკის მასწავლებელთა	1	30	„	„	96	114	„
4	ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელთა . . .	1	30	„	3 დღე	12	4	„
5	ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელთა	1	30	„	„	12	4	ქუთაისი
6	რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . .	8	240	მოუწყვეტ.	7 დღე	20	4	თბილისი
7	ბიოლოგიის მასწავლებელთა . . .	1	30	„	„	20	4	„
3	ფიზიკის მასწავლებელთა	3	90	„	„	20	4	„
9	ქიმიის მასწავლებელთა	2	60	„	„	20	4	„
10	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	5	150	„	„	20	4	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8	
11	სასკოლო ბიბლიოთეკარების	1	30	მოწყვეტით	1 თვე	100	45	ქუთაისი
12	სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . .	1	30	„	15 დღე	60	18	ბათუმი
13	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	მოუწყვეტ.	3 თვე	104	56	ქუთაისი
14	დაწყებითი კლასების სიმღერა მუსიკის და სახვითი ხელოვნების (ხატვის) მასწავლებელთა	1	30	„	1 თვე	62	228	ბათუმი
15	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	1	30	„	„	140	40	„
16	შრომის (მერქანზე, ლითონზე) მასწავლებელთა	1	30	„	„	70	148	გორი
17	კლასების ხელმძღვანელთა	1	30	მოწყვეტით	15 დღე	40	8	ლენინგორი
	მარტი							
1	ქიმიის მასწავლებელთა	1	30	„	1 თვე	104	80	თბილისი
2	ქიმიის მასწავლებელთა	1	30	მოწყვეტ.	1 წელ.	30	6	„
3	ბიოლოგიის მასწავლებელთა	1	30	მოუწყვეტ. „	„	48	36	„
4	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	5	150	მოუწყვეტ.	7 დღე	20	4	„
5	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა	5	150	„	„	20	4	„
6	ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.)	2	60	„	„	20	4	„
7	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	5	150	„	„	20	4	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8	9
8	ფიზიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი)	3	90	მოუწყვეტ.	7 დღე	20	4	თბილისი
9	ქიმიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი)	2	60	„	„	20	4	„
10	მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	„	1 თვე	130	20	ბათუმი
11	სასწავლო კინოს საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების	1	30	მოწყვეტით	15 დღე	26	130	მცხეთა
12	სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა .	3	90	„	10 დღე	50	20	საგურამო
13	სასწავლო კინოს საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების	1	30	„	1 თვე	78	140	სოხუმი
14	საბავშვო ბაღების გამგეთა	1	30	„	„	100	50	ქუთაისი
15	შრომის (მერქანზე, ლითონზე) მასწავლებელთა	1	30	„	„	70	148	„
16	საბავშვო ბაღების მუშაკთა	1	30	მოუწყვეტ.	„	100	50	გორი
17	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30	„	3 თვე	104	56	ზუგდიდი
18	რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (რუსული ჯგუფი) . . .	1	30	მოწყვეტით	7 დღე	30	6	ცხინვალი
19	კლასების ხელმძღვანელთა (რუსული ჯგ.)	2	30	მოუწყვეტ.	15 დღე	40	8	„
20	„ „	2	30	„	„	40	8	რუსთავი
	აპრილი							
1	რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (რუსული ჯგ.) . . .	1	30	მოწყვეტით	20 დღე	90	18	თბილისი
2	საბავშვო ბაღების მუსიკის მასწავლებელთა	1	30	„	15 დღე	66	24	„
3	სკოლა-ინტერნატების დირექტორების . .	1	30	„	„	60	12	„
4	სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა	3	90	„	10 დღე	50	20	საგურამო

1	2	3	4	5	6	7	8	9
5	არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . .	1	30	მოწყვეტით	1 თვე	140	30	სოხუმი
6	რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში	1	30	„	„	120	30	ქუთაისი
7	შრომის (მერქანზე, ლითონზე) მასწავლებელთა	1	30	„	„	70	148	კასპი
	მაისი							
1	ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტთა . . .	2	60	„	1 თვე	68	156	თბილისი
2	სასკოლო ბიბლიოთეკარების	1	30	„	„	100	45	„
3	სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა .	4	120	„	10 დღე	50	20	საგურამო
4	შრომის (მერქანზე, ლითონზე) მასწავლებელთა	1	30	„	1 თვე	70	148	ხაშური
5	საბავშვო ბაღების აღმზრდელთა	1	30	„	„	100	50	სოხუმი
6	საბავშვო ბაღების აღმზრდელთა	1	30	„	„	„	„	ქუთაისი
7	სასკოლო საცდელი მიწის ნაკვეთების გამგეების (რუსული ჯგუფი)	1	30	„	15 დღე	20	50	ცხინვალი
	ივნისი							
1	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60		1 თვე	104	56	ბორჯომი
2	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60		„	„	„	თელავი
3	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30		„	„	„	სოხუმი
4	ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	3	90		„	„	„	ქუთაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8	9
5	არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა .	1	30		1 თვე	112	38	თბილისი
6	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	60		„	104	56	„
7	რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30		„	104	56	სოხუმი
8	არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა .	1	30		„	112	38	„
9	არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა	1	30		„	112	38	ქუთაისი
10	არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა . .	1	30		„	112	38	ბათუმი
11	სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30		„	108	52	სოხუმი
12	——————— „ ———————	1	30		„	108	52	ახალქალაქი
13	აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	1	30		„	108	52	ბოლნისი
14	ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა	2	30		„	108	52	ცხინვალი
15	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	1	30		„	114	46	ბორჯომი
16	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომომუშავე მასწავლებელთა	2	60		„	114	46	ქუთაისი
17	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	1	30		„	114	46	ხულო
18	ბიოლოგიის მასწავლებელთა	1	30		„	106	80	თბილისი
19	ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი)	1	30		„	106	80	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8	
20	ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა .	4	120		1 თვე	100	90	ბათუმი
21	ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . .	2	60		„	100	90	ქუთაისი
22	არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა	1	30		„	126	34	სოხუმი
23	დაწყებითი სკოლების გამგეების	1	30		„	108	52	ბორჯომი
	ივლისი							
თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში—ე. ძამაშვილი (ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), ნ. კახელაძე და ნ. გოგიაშვილი (ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში—რ. თუშმალოვა (გორის რაიონის კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ვ. ოშუტინა (მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), მათემატიკაში—რ. ჯანაშვილი, ავ. გოდერძიშვილი, კ. სომხიშვილი (მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა), პ. ჩიტაშვილი (მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლა), ქიმიაში—ც. კეჩხუაშვილი (მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა) მ. კლიმიაშვილი (მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლა), ისტორიაში ლ. ლეკიშვილი და მ. ბაინდურაშვილი (მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლა), გეოგრაფიაში—თ. ხითაროვა და ტ. ჩიკოიძე (მუშა ახალგაზრდობის მეორე სკოლა).

თვით მოსწავლე ახალგაზრდობის ერთი ნაწილი წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სწავლას და წარმოებაში შრომას; ასე მაგალითად, გასულ წელს კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრა 17-მა ახალგაზრდამ, მათგან სამი დაუსწრებლად იღებს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

ზემოაღნიშნული მიუხედავად, ქ. გორისა და გორის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ხარვეზები.

საღამოს (ცვლის) სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაოდ მუშაობენ სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის სწავლებაში ჩასაბმელად. საკმარისია ითქვას, რომ მათ არ მოეპოვებათ წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე, სწავლება-

ში ჩასაბმელი ახალგაზრდების დაზუსტებული სიები, არ წარმოგეს ამ კონტინგენტთან საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ეს გარემოება არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გორის რაიონის საღამოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმა მიმდინარე სასწავლო წლის კონტინგენტის გეგმა ვერ შეასრულეს: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 კლასისა 177 მოსწავლით, მუშაობს 11 კლასი, რომელშიც 162 ახალგაზრდა სწავლობს.

ზოგ სკოლაში არასაკმაო ყურადღება ეექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას: სკოლების წლიური, პედაგოგიური საბჭოებისა და კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური გეგმები ზოგადი, შინაარსით ღარიბი და ენობრივად გაუმართავია;

მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი ნ. გურგენიძე) წლიურ გეგმაში იკითხება: „საკლასო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების ორგანიზაცია მოსწ". ან კიდევ ასეთი: „სამეცადინო ცხრილის, მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების და მეთოდური მუშაობის გამოკვრა სათანადო ადგილზე" და სხვ. და ა. შ.

ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლის (დირექტორი მ. მანჯავიძე) წლიურ სამუშაო გეგმაში სრულად არ არის შეტანილი თავები: „საწარმოო-დაწესებულებებთან მუშაობა" და „მუშაობა მასწავლებელთა შორის".

სკოლების პედაგოგიური საბჭოების სამუშაო გეგმები უმთავრესად ორგანიზაციული საკითხებისა და მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანგარიშს ითვალისწინებს. მათში იშვიათად ვხვდებით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეული აქტუალური საკითხების განხილვას.

კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური გეგმები ტრაფარეტულად, კლასის მოსწავლეთა შემადგენლობისა და მუშაობის პირობების გულდასმით შესწავლის გარეშე დგება და თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. კიდევ მეტიც: მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიანი სკოლის IX და X კლასების ხელმძღვანელთა (ც. კეჩხუაშვილი და ვ. ოშუტინა) სამუშაო გეგმები ერთმანეთის ასლს წარმოადგენს.

ქ. გორისა და გორის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ადგილი აქვს სასწავლო მეცადინეობაზე მოსწავლეთა დაგვიანებით ან სრულიად გამოუცხადებლობის ხშირ შემთხვევებს; ასე მაგალითად, ა/წ 27 იანვარს ქ. გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მუშა ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის 253 მოსწავლიდან გაკვეთილებს დაესწრო მხოლოდ 135. კიდევ უფრო უარესი რესი სურათი იყო ცალკეულ კლასებში; VI კლასის 17 მოსწავლიდან გამოცხადდა მხოლოდ 5, VII კლასის 31 მოსწავლიდან—15, IX²—კლასის 20 მოსწავლიდან—7 და ა. შ. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლაშიც.

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდება მის მოვალეობას, ნაკლებ დაინტერესებას იჩენს საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებისადმი, არადამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, ხერხებს, რის გამო ვერ აღწევს სასურველ შედეგებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში.

კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. ბიბილაშვილი არ ითვალისწინებს ქართული ენის გრამატიკაში კლასის მომზადების დონეს: იგი VI კლასში ისე ასწავლის „გარდამავლობას“, რომ მოსწავლეებმა არ იციან ზმნის უღლება, პირთა როოდენობა და უჭირთ სახელთა ბრუნვის ფორმების ერთმანეთისაგან გარჩევაც კი. მოსწავლეებმა ზეპირად იციან, მაგალითად, ცნობილი დებულება, რომ ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, ორპირიანი გარდამავალიც და გარდაუვალიც, სამპირიანი კი— ყველა გარდამავალი. მაგრამ ასეთ ცოდნას ფასი აღარ აქვს, რადგანაც ვერ არკვევენ, თუ რამდენი პირია წარმოდგენილი ამა თუ იმ ზმნის ფორმაში; მასწავლებლის განმარტება პირდაპირი ობიექტის ბრუნვაცვალებადობის შესახებ მოსწავლეებმა ვერ გაიგეს იმის გამო, რომ არ იცოდნენ ზმნის უღლება და თვით სახელის ცვლა ბრუნების მიხედვით. გაკვეთილზე ნაკლები ყურადღება ექცევა სათანადო მაგალითების შერჩევას, მათზე ვარჯიშს, საშინაო დავალებათა შესრულების შემოწმებას, სწავლების აქტიური მეთოდების, ხერხების, სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური, სახელმძღვანელო ლიტერატურისა და თვალსაჩინოების გამოყენებას. ყოველივე ეს განსაზღვრავს მოსწავლეთა სრულიად არადამაკმაყოფილებელ მომზადებას.

დაბალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ჩაატარა ქართული ლიტერატურის გაკვეთილი იმავე სკოლის მეათე კლასში მასწავლებელმა მ. ჩალაურმაც. წინა მასალის—გ. წერეთლის ბიოგრაფიის—გადმოცემისას მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებული მრავალი

ენობრივი ხასიათის შეცდომა გაუსწორებლად დარჩა. როგორც, კლასის წინაშე დასმული ფრონტალური კითხვებით გამოირკვა, მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა არ იცოდა ეს მასალა. შესავალ საუბარში მასწავლებელმა არასაკმაო ცნობები მისცა კლასს გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ შემოქმედებით ისტორიაზე; ყოველგვარი კომენტარის გარეშე კითხულობდა ტექსტს, რითაც მოსწავლეები ვერ დაინტერესა და ისინი უყურადღებოდ ისხდნენ.

მასწავლებელმა მ. ჩალაურმა კლასის წინაშე დააყენა რამდენიმე, წინასწარ ნაკლებმოფიქრებული, არასწორად ფორმულირებული კითხვა; ასე მაგალითად. „რკინიგზა როგორც მნიშვნელოვანი საწარმო, რას უქმნიდა ჩვენში ბურჟუაზიის საქმიანობას?“; „რკინიგზის გაყვანამ რას შეუწყო ხელი?“ და სხვა.

ამ საგნის მასწავლებლები არასაკმაო მუშაობას ატარებენ მოსწავლეთა წერითი მეტყველების გასაუმჯობესებლად: უყურადღებოდ ტოვებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ ბევრ შეცდომას, არ ამუშავებენ მოსწავლეებს შემჩნეულ შეცდომებზე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. გინტური.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში საპროგრამო მასალის უცოდინარობა გამოამჟღავნეს მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ს. ნიკოლაევი) მოსწავლეებმა: ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ჩამოთვალა წინა მასალიდან „мя“-ზე დაბოლოებული ათი არსებითი სახელი; ძალზე ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი რუსულ ენაში. ისინი სწორად ვერ პასუხობენ კითხვაზე, თუ რომელ კლასში და რომელ სკოლაში სწავლობენ.

იმავე სკოლის VIII კლასში მასწავლებელმა ს. ნიკოლაევმა ჩაატარა საკონტროლო წერა (კარნახი). სამუშაო შეასრულა ექვსმა მოსწავლემ და ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაიმსახურა დადებითი შეფასება.

ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლის XI კლასმა (მასწავლებელი ც. მეხუზლა) წინა მასალის— „придаточное предложение“—არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნა. მოსწავლეებს უჭირთ მთავარი და დამოკიდებული წინადადების ერთმანეთისაგან გამოყოფა. მოსწავლეთა მიერ ნაკლებ ათვისებული მასალა მასწავლებელმა განმეორებით აღარ აუხსნა და განაცხადა, რომ „хотя у нас придаточное предложение, но мы разберем простые предложения“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაფასთან გამოძახებულ მოსწავლეს უკარნახა მარტივი წინადადება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კლასმა ეს ადრე შესწავლილი მასალაც აგრეთვე სუსტად იცოდა.

ამ საგნის სწავლებაში არასასურველი შედეგები აქვს აგრეთვე იმავე სკოლის მასწავლებელს—ალ. პატაპოვას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (მასწავლებელი ქ. ბუჯიაშვილი). XI კლასის მოსწავლეებს უჭირთ გეომეტრიული ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნა. არც ერთმა მათგანმა არ იცის, რა არის რიცხვი. X კლასის მოსწავლეებმა ვერ შეძლეს, დაემტკიცებინათ საშინაო დავალებად მიცემული თეორემა—„პარალელური კვეთის თვისებები პირამიდაში“.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები თითქმის ყველა ზემოხსენებული სკოლის IX კლასებში მხოლოდ კისელევის სახელმძღვანელოთი ისწავლება. ამის გამო ზოგჯერ შესწავლილია თემები, რომელთაც სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს ან საჭირო მასალა ისწავლება არასრულყოფილად; ასე მაგალითად, ზოგან შესწავლილია კვადრატული სამწევრის გამოკვლევა და, ამის საფუძველზე, მეორე ხარისხის უტოლობის ამოხსნა მაშინ, როცა იგი პროგრამით არ ისწავლება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ მათემატიკის მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდურ წერილს „ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციებისა და გეომეტრიული გარდაქმნის სწავლების შესახებ IX კლასში“.

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ისე ტარდება საკონტროლო წერითი მუშაობა, რომ სკოლების დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა მოადგილეებმა წინასწარ არ იციან სათანადო მაგალითებისა და ამოცანების ვარიანტები. კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის IX კლასის მასწავლებელს მ. შაშინაშვილს საკონტროლო წერა გეომეტრიაში თემიდან „სამკუთხედების ამოხსნა“ ჩაუტარებია მხოლოდ ბლაგვი კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე და არა ისეთ ამოცანებზე, რომლებიც სამკუთხედის ელემენტების გამოანგარიშებაზე დაიყვანება. როგორც გამოირკვა, ეს ხდება იმიტომ, რომ ზემოაღნიშნული საღამოს (ცვლის) სკოლების დირექტორები, სასწავლო დარგში მათი მოადგილეები და მათემატიკის მასწავლებლები დღემდე არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961

წლის 17 მაისის № 324 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

კარალეთისა და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის IX და XI კლასებში (მასწავლებლები გ. იმანიძე და თ. აწკარუნაშვილი) ზეპირსიტყვიერად, ყოველგვარი ცდებისა და თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება ფიზიკა, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ამ საგანში მოსწავლეთა მეტად დაბალი მომზადებისა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმია-ბიოლოგიის სწავლება მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI და VIII კლასებში (მასწავლებელი თ. ბუჯიაშვილი). VI კლასში ახალი მასალა ბოტანიკაში „ყლორტის განვითარება კვირტისაგან“ მასწავლებელმა ახსნა თვალსაჩინოების გარეშე, ზეპირსიტყვიერად; ამიტომ მოსწავლეებმა ცუდად გაიგეს მასალის შინაარსი და საჭირო დარჩა ზოგი საკითხის განმეორებით ახსნა.

იმავე მასწავლებელმა თ. ბუჯიაშვილმა აგრეთვე ცდებისა და თვალსაჩინოების გარეშე ჩაატარა ქიმიის გაკვეთილი VIII კლასში. დაბალია ამ კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე: მათ ვერ შეადგინეს მასალათა ფორმულები, ნეიტრალიზაციის რეაქციის ტოლობები; ვერ განმარტეს, რას ეწოდება მჟავა, ჟანგიულები. მოსწავლეებს არ ეძლევათ სავარჯიშოები, არა აქვთ რეეფულები ქიმიაში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. გორის მეორე ცვლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელი გ. ლომიტაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე, 1965/66 სასწავლო წელს X—XI კლასებში სსრ კავშირის ისტორია მთელი წლის განმავლობაში უნდა ისწავლებოდეს, მასწავლებელმა თვითნებურად შეწყვიტა მისი სწავლება მეორე მეოთხედში, მაგრამ შეფასება მაინც მისცა მოსწავლეებს.

მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის IX კლასის (მასწავლებელი მ. მერაბიშვილი) მოსწავლეებმა არ იციან, რას ნიშნავს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი, ცუდად გადმოსცეს წინა გაკვეთილის მასალა—„ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება“. ახალი მასალის—„საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა“—ახსნისას მასწავლებელს არაფერი უთქვამს რკპ/ბ/ც. კ-ის 1917 წლის 10 და 16 ოქტომბრის სხდომების შესახებ; ერთმანეთს არ უკავშირებს წინათ შესწავლილ, ძველ და ამჟამად შესასწავლ, ახალ ისტორიულ მასალას, არ გამოყოფს ძირითად, აუცილებლად

შესასწავლ ნაწილს მეორეხარისხოვანიდან, თხრობისას უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს და სხვ.

ქ. გორის პირველი მუშა ახალგაზრდობის, გორის რაიონის მეჯვრისხევისა და კარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან არ არის შექმნილი სკოლების დამხმარე მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები, სუსტია კავშირი წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან; იმ მოსწავლეთა უმრავლესობა, რომელიც წარმატებით სწავლობს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, არ სარგებლობს კანონით დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღის, ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ.

ზემოხსენებული სკოლების მოსწავლეები განიცდიან სასწავლო სახელმძღვანელოების დიდ ნაკლებობას თითქმის ყველა საგანში, რაც თავის უარყოფით გავლენას ახდენს სწავლა-აღზრდის მდგომარეობაზე.

სკოლები შეუფერხებლად ვერ სარგებლობენ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვს ამ მხრივ მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობისა და გორის პირველ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს.

კარალეთისა და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში (დირექტორები ბ. გოგიაშვილი და ნ. გურგენიძე) მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია: პედაგოგიური საბჭოს საოქმე წიგნები, რვა კლასის დამთავრების მოწმობების და საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის წიგნები დაუნომრავი, ზონარგაუკრელი და დაულუქავია. მეჯვრისხევის სკოლას საკითხის შესწავლის დროისათვის არ ჰქონდა გაცემული რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობები ზოგ პირებზე, რომელთაც 1963/64 და 1964/65 სასწავლო წელს დაასრულეს კურსი.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის შეპირობებული, რომ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება მასწავლებელთა მუშაობაზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო დაბალია ქ. გორის საღამოს (ცვლის) მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; ასე მაგალითად, სასწავლო წლის პირველი მეოთხედის ბოლოს მუშა ახალგაზრდობის პირველ სკოლაში ირიცხებოდა 254 მოსწავლე, აქედან შეფასდა 204, ყველა საგანში ასწრებდა მხოლოდ 99 მოსწავლე, ვერ ასწრებდა 105; ე. ი. აკადემიურმა მოსწრებამ

შეადგინა 48,5%. იმავე სკოლაში მეორე მეოთხედის ბოლოსათვის ირიცხებოდა 261 მოსწავლე, შეფასდა 231, ასწრებდა მხოლოდ 106, ვერ ასწრებდა 125 მოსწავლე, ე. ი. აკადემიური მოსწრება უდრიდა 45, 9%-ს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. გორისა და გორის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა საკუთარი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მეტი ყურადღება მიაქციონ საგნის სწავლებისათვის საჭირო ძირითად, სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურაზე ინდივიდუალურ მუშაობას, მათ საფუძვლიან შესწავლას და შემოქმედებითად გამოყენებას.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. პერიოდულად შეისწავლონ ცალკეული საგნების მასწავლებლების, განსაკუთრებით ამ ბრძანებაში აღნიშნული არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების, ინდივიდუალური მუშაობის, აგრეთვე მეთოდგაერთიანებაში მათი მონაწილეობის საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) მიაღწიონ ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ისტორიაგეოგრაფიაში საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, მასალებით შესაძლებლობისამებრ სკოლების უზრუნველყოფას, სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდით გამდიდრებას, ერთი მხრივ, მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების შეუფერხებლად გამოყენებას, მეორე მხრივ;

გ) სასკოლო მუშაობის დაგეგმვისას გაითვალისწინონ ცალკეული კლასებისა და მასწავლებლების მუშაობის პირობები; ბოლო მოღონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ტრაფარეტულ მიდგომას;

დ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ, ერთი მხრივ, მოსწავლეთა სკოლაში შესანარჩუნებლად, მათ მიერ გაკეთილების არაეფექტიან მიზეზით გაცდენათა სოციალიზაციოდ, მეორე მხრივ, კი წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად;

აღწერონ სათანადო კონტინგენტი და დააზუსტონ მათი სიები;

ე) მიიღონ ზომები უახლოეს ხანში ყველა სასკოლო დოკუმენტის სრულ წესრიგში მოსაყვანად;

ვ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე შექმნან სკოლების დამხმარე მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები და ქმედით იარაღად გამოიყენონ ისინი სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა შორის მტკიცე, საქმიანი კავშირის განსახორციელებლად;

ზ) უზრუნველყონ აკადემიურად ჩამორჩენილი და მეორეწლიანი მოსწავლეებისადმი დახმარება, რათა მკვეთრად ამაღლდეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე

3. ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ივ. ჯაბბრიშვილმა და ა. ჩხეიძემ):

ა) შემდგომ გააუმჯობესონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა; მიაღწიონ საწარმოო-დაწესებულებების, მათი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაინტერესებას მათთან მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდით; მიაღწიონ იმას, რომ წარმატებით მოსწავლე ახალგაზრდები სარგებლობდნენ კანონით დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ;

ბ) მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარონ ამ ტიპის სკოლებს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით ზეუფერხებლად სარგებლობაში;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ახლადგამოცემულ სახელმძღვანელოებთან ერთად შეიძენინონ მათ მასობრივ და საღამოს სკოლებში ამჟამად ხმარებული სტაბილურისა ხელმძღვანელოები;

დ) დროულად დაიყვანონ სკოლებამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან მიღებული სახელმძღვანელო მასალები და უზრუნველყონ მათში მოცემულ მითითებათა შესრულება;

ე) ეს ბრძანება სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად განიხილონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძემ) მისთვის შესაძლებელი მაქსიმალური დახმარება გაუწიოს ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის მეორე ცვლიან სკოლას საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფასა და დგამ-ავეჯის ფონდის გამოყოფაში.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მიეთითოთ: ქარალეთისა და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. ბიბილაშვილს, შ. ჩალაურს და ნ. გინტურს, მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობისა და ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ს. ნიკოლაევას, ც. მეხუზლას და ალ. პატაპოვას; მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ქ. ბუჯიაშვილს, ქარალეთისა და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ფიზიკის მასწავლებელს ნ. იამანიძეს და თ. აწკარუნაშვილს; ქარალეთის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელს თ. ბუჯიაშვილს, ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის მეორე და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ისტორიის მასწავლებლებს გ. ლომიტაშვილს და მ. მერაბიშვილს.

6. აღინიშნოს ქ. გორის მუშა ახალგაზრდობის პირველი, გორის რაიონის ქარალეთისა და მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების მ. მანჯავიძის, ბ. გოგიაშვილისა და ნ. გურგენიძის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

7. ეს ბრძანება საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ ქ. გორისა და გორის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 25 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 25 მარტის ბრძანება № 345

სკოლა-ინტერნატების, სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1965/66 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად ჩატარებული შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატებმა, სბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლა-ინტერნატებმა 1965—1966 სასწავლო წლის პირველი ნახევარი დამაკმაყოფილებელი შედეგებით დაამთავრეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები.

სკოლა-ინტერნატებში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ 22840 აღსაზრდელის ნაცვლად 1966 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 21577 აღსაზრდელი, 1263-ით ნაკლები; ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატში გეგმით გათვალისწინებული 385 აღსაზრდელის ნაცვლად—266 აღსაზრდელი, 119-ით ნაკლები, ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატში 80 აღსაზრდელით ნაკლები, საგურამოს სკოლა-ინტერნატში 83-ით, წალენჯიხის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში 63 ით, ზუგდიდის № 1 და ახალდაბის სკოლა-ინტერნატებში 57—57-ით, წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში 50-ით, ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში 47-ით, სამტრედიის სკოლა-ინტერნატში 46-ით და ბოდბისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებში 41—41 აღსაზრდელით ნაკლები.

სკოლა-ინტერნატებში შეფასებულ 21.412 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს 18.972 აღსაზრდელი; დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ: ჯავის სკოლა-ინტერნატს—ასწრებს მოსწავლეთა მხოლოდ 61%, ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატს—75%, წითელწყაროს სკოლა-ინტერნატს—77%;

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. მათში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 4260 აღსაზრდელისა 1966 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა 4031 აღსაზრდელი, 229 აღსაზრდელით ნაკლები შეფასებულ 3608 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებს 3450 აღსაზრდელი, დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევარი ჭიათურის მეორე (65%), მიუსერას (82%), თბილისის (83%) და ბათუმის (84%) საბავშვო სახლებმა.

დაბალ დონეზე დგას სწავლა-აღზრდის საქმე ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლ. აბაშიძე) აღმზრდელ-მასწავლებლები ს. ქართველიშვილი, გ. ადუაძე და ს. წოქვაძე თავს ვერ ართმევენ მუშაობას. მოსწავლეთა დიდ ნაწილს სუსტი წარმოდგენა აქვს გავლილ მასალაზე, დაბალია წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა. ფიზიკაში არ ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები. მასწავლებლები უყურადღებობას იჩენენ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებისადმი, ადგილი აქვს აღსაზრდელთა ინტერნატიდან გაპარვის შემთხვევებს; მიმდინარე წლის 6 თებერვალს ინტერნატიდან გაიპარა 16 აღსაზრდელი. მოსწავლეებს აკლიათ სახელმძღვანელოები. სკოლა-ინტერნატში მოუწესრიგებელია აღსაზრდელთა პირადი საქმეები, საკლასო ჟურნალების წარმოება და სხვ.; ადგილი აქვს საკლასო ჟურნალებში ნიშნების გადასწორების შემთხვევებს. ამავე ინტერნატში დაბალ დონეზე დგას აგრეთვე აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება. ექიმისა და ექთანის უყურადღებობის შედეგად ავადმყოფი ბავშვები ზოგჯერ საერთო საცხოვრებელში წვანან. სამედიცინო პერსონალი არ ღებულობს მონაწილეობას მენიუ-მოთხოვნილების შედგენაში, მათ მიერ არ ხდება კალორაჟის გამოთვლა და სხვ. აღსაზრდელებს აკლიათ პირადი ჰიგიენის საგნები, მოუწესრიგებელია პირსაბნები, სამზარეულოსა და სასაღილოში უსუფთაობაა.

ანალოგიური მდგომარეობაა ახალდაბის სკოლა-ინტერნატშიც (დირექტორი შ. აბრამიშვილი). სკოლა-ინტერნატს აკლია მაგარი ინვენტარი, კარადები, მაგიდები, სკამები, ვაჟებისათვის სასკოლო ფორმის ტანსაცმელი და სხვ. სკოლა-ინტერნატი არაა დაკომპლექტებული სათანადო კადრებით, რუსული სექტორის აღმზრდელები გ. ჯოჩაძე, ც. გოგოლაძე, ქ. თიბილოვი, ნ. ბლიაძე, ნ. ლომიძე, სუსტად ფლობენ რუსულ ენას, რის გამო ბავშვებთან მუშაობა

უკირთ; ქართულ სექტორზე მომუშავე აღმზრდელებს ი. ბელ-ეშვილსა და ნ. ბლუაშვილს არ აქვთ უმაღლესი განათლება, ხოლო ქიმიისა და შრომის მასწავლებლად მუშაობს ვეტექიმი თ. ცნობილაძე. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება: ქართული სექტორის VII კლასის 15 მოსწავლიდან ვერ ასწრებს, —8, VI კლასის 37 მოსწავლიდან—16. სკოლა-ინტერნატს აკლია 387 სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო; დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა ქართულ და რუსულ ენებში, საკონტროლო სამუშაოები სრულდება უსუფთაოდ, არ ხდება დაშვებული შეცდომების გასწორება, მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა; ასეთივე მდგომარეობაა ისტორიასა და მათემატიკაშიც; სათანადო სიმაღლეზე არ დგას აგრეთვე სიმღერა-მუსიკის სწავლება. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება პიონერული მუშაობა, რაზმეულის საბჭო და რაზმების საბჭოები ფორმალურად არსებობენ.

კალდახვარის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. ჩიჩბა) სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელთათვის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი საძინებელ ოთახებში, კვების ბლოკსა და ეზოში. სკოლა-ინტერნატის ტერიტორია არ არის გამწვანებული და კეთილმოწყობილი, სრულყოფილად არ არის მოწყობილი სპორტული მოედანი. შემოწმების მომენტში საკანალიზაციო ქსელი არ იყო წესრიგში და უსუფთაო წყალი იღვრებოდა საძინებელი კორპუსის მახლობლად. გარდერობებს არ აქვთ დასაკიდებლები, რის გამოც ბავშვების ტანსაცმელი დახვეული და დაჭმუჭნული ყრია შიგ. ბავშვებს არ აქვთ პირადი ჰიგიენის საგნები, გოგონების პირადი ჰიგიენის ოთახები მოუწყობელია, აბანოში არ არის გასახდელი, მინები ჩამტვრეულია, არ არის მოწყობილი ხის ფეხსაფარამები. სკოლა-ინტერნატში ცუდად არის დაყენებული სამედიცინო მომსახურება; ინტერნატს არ ჰყავს ექიმი, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. კვების ბლოკი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ჭურჭლით. სამზარეულოს ქვაბებში ამოტეხილია ემალი, აღსაზრდელებს ჩაი ეძლევათ დიდი, დაჟანგული რკინის ტოლჩებით. სამზარეულოს მუშაკები ჭუჭყიანი ხალათებით მუშაობენ, მორიგე აღსაზრდელები კი საჭმელს უხალათოდ და თავწაუკრავად არიგებენ; პროდუქტების დასამუშავებელი მაგიდები უსუფთაო მდგომარეობაშია, სამზარეუ-

ლოსა და სასადილოში ბუზებია, ხოლო კედლებზე—ობობას ქსელი. ინტერნატის სამზარეულოში ანტისანიტარული მდგომარეობაა. ხორცის საჭელი მანქანა ხმარების შემდეგ არ სუფთავდება; ჭურჭელი ირეცხება ნაჩქარევად და უხარისხოდ. საწყობში პროდუქტები ინახება სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაუცველად.

ინტერნატის საჭმელი ერთგვაროვანია და არათანაბრად ნაწილდება აღსაზრდელებზე. მზარეულები ავიძა და შაკრილი სისტემატურად აკლებენ ბავშვებს დღიური ნორმით დაწესებული პროდუქტების მნიშვნელოვან რაოდენობას. 25 იანვარს ბავშვებს დააკლეს და სამზარეულოში აღმოჩნდა 1 კგ შაქრის ფხვნილი, 3 ქილა შედედებული რძე, 2,5 კგ ფქვილი, 2,2 კგ მანის ფქვილი; ამავე დღეს ბავშვებს დააკლეს 32,2 კგ პური. 28 იანვარს მზარეულმა ზ. შაკრილმა მარტო საუზმეზე დააკლო ბავშვებს 1,2 კგ კარაქი; სადილისა და ვახშმისათვის სამზარეულოს დააკლდა 2,15 კგ შაჯარი, 2,24 კგ შედედებული რძე და სხვ. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელები კვების პროდუქტების გაწერას აწარმოებენ ბავშვების არა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით, არამედ ბავშვთა სიების მიხედვით, ასე მაგალითად, 1966 წლის 25 და 26 იანვარს კვებაზე იმყოფებოდა 521 აღსაზრდელი, ხოლო მენიუ გამოწერილი იქნა და პროდუქტები გაიცა 561 ბავშვზე. დღესასწაულების, არდადეგებისა და კვირა დღეების გამოკლებით 1965 წლის განმავლობაში ზედმეტად გამოწერილი პროდუქტების ღირებულება უდრის 4.318 მანეთს. შემოწმების დღეს, 25 იანვარს, პროდუქტების საწყობში მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ა. აგრბას დიდი რაოდენობით დააკლდა 13 დასახელების პროდუქტი, რომელთა ღირებულება შეადგენს 210 მან. და 28 კაპიკს. სკოლა-ინტერნატმა 1965 წელს გაგრის კურორტვაჭრობიდან ვერ აითვისა და ბავშვებს დააკლო: 16,2 ტონა რძე, 10,8 ტონა ბოსტნეული, 12,5 ტონა კარტოფილი, 31,3 ათასი ცალი კვერცხი და სხვ.

ამავე დროს სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე კალდახვარის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაც: დღის რეჟიმი და გაკვეთილების ცხრილი შედგენილია მუშაობის პირობების გაუთვალისწინებლად, ცხრილში არ არის დაცული საგნების მონაცვლეობა; უხარისხოდაა შედგენილი წლიური და საალმზრდელო გეგმები. 1965—1966 სასწავლო წლის სამუშაო

გეგმა გადმოწერილია წინა წლის სამუშაო გეგმიდან; გეგმაში არაა განყოფილება ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე; პიონერული მუშაობა იგეგმება პიონერების მონაწილეობის გარეშე, პედაგოგიურ კოლექტივი სუსტად იყენებს კომკავშირულ და პიონერულ აქტივს. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ეშვიათად იხილება ცალკეული საგნების სწავლების საკითხები; დირექტორის მიერ 1964 წლის სექტემბრიდან 1966 წლის 25 იანვრამდე მოსმენილია მხოლოდ 2 გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატში არაა მოწყობილი ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიები, რის გამო ხსენებული საგნების სწავლება თვალსაჩინოების გარეშე მიმდინარეობს, რუსულ ენაში ჩატარებული საკონტროლო სამუშაოების შედეგად VIII კლასის 17 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო—10, ქიმიაში IX კლასის 18 მოსწავლიდან—6 მა, ფიზიკაში —19 მოსწავლიდან 8 მოსწავლემ.

თბილისის საშუალო სკოლა ინტერნატში (დირექტორი გ. ბაკურაძე) დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. ა. ბადალაშვილი), მოსწავლეებს უჭირთ ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა. მასწავლებელი ნაკლებად ამუშავებს მოსწავლეებს ტექსტზე; მოსწავლეებმა სუსტად იციან შესწავლილ ნაწარმოებთა ტექსტები, მოქმედ პირთა თავგადასავალი და დახასიათება. მასწავლებელი ვერ ერკვევა საგნის სწავლების მეთოდებში, ის მწერლის ბიოგრაფიის შესწავლისას ბიოგრაფიის ტექსტს აკითხებს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა; დაბალია წერის კულტურა, არ სრულდება საკონტროლო წერის ნორმები. ქართული ენის მასწავლებელ მ. თეთრაძეს შეუმჩნეველი რჩება მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები, მოსწავლეების მიერ სიტყვა-სიტყვით ერთმანეთისაგან გადაწერილ ნამუშევრებს იგი დამაკმაყოფილებელი ნიშნით აფასებს. მოსწავლეებს არ უვარგათ ხელი. არადამაკმაყოფილებლად ატარებს გაკვეთილებს მათემატიკის მასწავლებელი ვ. დათაშვილი, გაკვეთილზე იგი XI კლასში 35 წუთის განმავლობაში მუშაობდა ერთ მოსწავლესთან. ანალოგიური მდგომარეობაა VII კლასშიც (მასწავლებელი ვ. სვანიძე); მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა, ვერ ერკვევიან წილადების გაერთმნიშვნელიანების შინაარსში, არ იციან წილადის ძირითადი თვისებები, მკრთალი წარმოდგენა აქვთ წილადების შეკვეცაზე და სხვ. არ სრულდება წერის ნორმები მათემატიკაში. საწერ მასალად საშუალოზე დაბალი სიძნელის საკითხებია

შერჩეული, ნაწერები მასწავლებლის მიერ გულდასმით არ სწორდება. ამავე ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ვ. ტუხაშვილი ფიზიკოდ არ იყენებს დიდაქტიკურ მასალას, არ ატარებს სადემონსტრაციო ცდებს; ფიზიკის კაბინეტი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით; არ ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები და მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

ამასთანავე ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა პირადი ჰიგიენა: ბავშვთა უმრავლესობას თმები შესასწორებელი და ფრჩხილები დასაჭრელი აქვთ; მოსწავლეებს არა აქვთ საპონი, კბილის ჯაგრისი და ფხვნილი. თეთრეული ხარისხიანად არ უთოვდება, ბალიშები თითქმის ყველა შესაცვლელია; საძინებელ ოთახებში არაა სასმელი წყლისათვის გრაფინები და ჭიქები, სასადილოს მაგიდები დაქონილია, ჭიქების უქონლობის გამო ბავშვები წყალს გრაფინებიდან სვამენ; კვების ბლოკის 19 თანამშრომლიდან მხოლოდ 9 აქვს სანიტარული წიგნაკი.

ბათუმისა და ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატებში (დირექტორები ლ. ციცხლაძე, ვ. ყურშუბაძე) უსუფთაობაა; ცუდადაა ორგანიზებული ბავშვთა კვება, საჭმელი ერთფეროვანია, აღსაზრდელებს აკლებენ ნორმით გათვალისწინებულ ულუფას. ბათუმის № 1 სკოლა-ინტერნატში კონტროლი არაა დაწესებული საწყობსა და სამზარეულოს მუშაობაზე, არ ფორმდება მენიუ დადგენილი წესის მიხედვით, შემოწმებისას საწყობის გამგეს დააკლდა 14,9 კგ ბრინჯი, 21,6 კგ კისელი, 9,6 კგ ორცხობილა, 14,3 კგ. ლობიო, 8 კგ ვაშლი, 0,6 კგ ნამცხვარი, 8 კგ პურის ფქვილი და სხვ. ზედმეტი აღმოჩნდა 9 კგ მაკარონი, 7 კგ ზეთი, 6,9 კგ ტომატი და სხვა. ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი არ მარაგდება დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის მიხედვით, 1965 წლის მანძილზე აღსაზრდელებს დააკლდა 2,6 ტონა ბოსტნეული, 2 ტონა თევზი, 6.000 ც. კვერცხი და სხვ.

კვლავ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა წითელწყაროს სკოლა-ინტერნატს. ინტერნატში დღემდე მოუწესრიგებელია კანალიზაცია და აბანო, კანალიზაცია არცერთ სართულზე არ მუშაობს, მოუწყობელია სასაწყობო მეურნეობა, არ მუშაობს მაცივრები, ელექტროღუმელი და სხვ. თეთრეულის რეცხვის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

თიანეთის, დუშეთის, გლდანის № 1, თბილისის მათემატიკური და ზოგიერთი სხვა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა უმრავლე-

სობა არ იყენებს დიდაქტიკურ მასალებს, კინოფილმებს და სხვ. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისას არაა მტკიცე კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, არ სრულდება ლაბორატორიული სამუშაოები, სუსტად მუშაობენ საგნობრივი წრეები და დღის მეორე ნახევარი მაქსიმალურად არაა გამოყენებული. არაა საჭირო კონტაქტი დამყარებული მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის.

ზუგდიდის № 1, ფოთის, ბეთანიის, მახუნცეთის, სამტრედიის, წულუკიძის, განთიადის № 1, ლანჩხუთის, ტაშისკარის, ყვარლის, საგურამოსა და თელავის სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა დიდი ნაწილი კვლავ ვერ ახერხებს სააღმზრდელო გეგმების სწორად შედგენას. გეგმები გადატვირთულია რეჟიმული მომენტებით და საკითხები არაა კონკრეტულად დაყენებული.

ახმეტის, გლდანის № 2, კოჯრის, ბაბუშერის, წალენჯიხის, გორდის სკოლა-ინტერნატებში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება მოსწავლეთა იდეურ პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის საჭირო ღონისძიებანი, ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტულ მუშაობას, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობას, სპორტული შეჯიბრებებისა და შეკრებების ჩატარებას, საკმარისად არ ტარდება აგრეთვე დისპუტები, კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ეზოები უმეტეს ზემთხვევაში მოუწესრიგებელია, არაა მოწყობილი სპორტული მოედნები, მწვანე ხეივნები. დასასვენებელი გრძელი სკამები და სხვ.

სალიბაურის, ტაშისკარის, ყვარლის, ბაბუშერას, სალხინოს, გლდანის № 1, ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატების მასწავლებლები საკმაოდ არ მუშაობენ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან და არ ატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების გამოსასწორებლად.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სამედიცინო მომსახურება თბილისის მათემატიკურ, ზუგდიდის № 1, ზუგდიდის № 2 და თიანეთის სკოლა ინტერნატებში.

სკოლა-ინტერნატებში საერთოდ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. ახალდაბის, ბეთანიის, ახმეტის, დუშეთის, კაჭრეთის, ინგირის, ყვარლის, ბარისახოს, ცხინვალისა და გლდანის № 1 სკოლა-ინტერ-

ნატებში რაზმეულის საბჭო და რაზმების საბჭოები ფორმალურად არსებობენ, მათ არ აქვთ სამუშაო გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომითი სწავლება სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში, კეთილმოუწყობელია სახელოსნოები, აკლიათ თვალსაჩინო მასალა და დგამ-ავეჯი. ეს ინტერნატები არაა უზრუნველყოფილი დიდაქტიკური ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო მასალებით. აღსაზრდელთა თვითმმართველობას არ ექცევა სათანადო ყურადღება და მივიწყებულია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ქუთაისის ყრუბავშვთა სკოლა-ინტერნატში არაა მოწყობილი სმენის კაბინეტი. სპეციალური სკოლა ინტერნატები არაა უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, ზოგიერთ საგანში საკმაოდ მოძველებული სახელმძღვანელოებით მუშაობენ და ამის გამო ძნელდება ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება.

სუსტია კავშირი საბავშვო სახლებსა და მათ მომსახურე სკოლებს შორის. საბავშვო სახლების დიდ ნაწილში სუსტად მუშაობენ მზრუნველთა საბჭოები, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელობითა და რვეულებით. არ ექცევა სათანადო ყურადღება აღსაზრდელთა თვითმმართველობასა და მათში შრომითი ჩვევების გამომუშავების საქმეს. გეგეჭკორის საბავშვო სახლი არაა უზრუნველყოფილი რუსული ენის მცოდნე აღმზრდელებით. ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პირად ჰიგიენას, ჩაცმულობას, ტანსაცმლის მოვლასა და დაცვას.

საბავშვო სახლების აღმზრდელ-მასწავლებელთა ნაწილს არ აქვს ყოველდღიური სამუშაო გეგმა, არაა მოგვარებული აღსაზრდელთა პირადი საქმეები და სხვ. აღმზრდელთა სუსტი მუშაობის შედეგად ადგილი აქვს აღსაზრდელთა საბავშვო სახლიდან გაპარვის ხშირ შემთხვევებს.

განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გულდასმით შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების შესახებ საქართ-

ველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1966 წლის 16 მაისის № 3/2 დადგენილება. აღნიშნული დადგენილება გაანალიზონ სკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო სახლების მუშაკებს;

ბ) მათი გაცნობა დაუკავშირონ სკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო სახლების მუშაობის საფუძვლიან შესწავლას, ამ საქმეში სათანადო ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩაბმით;

გ) შესწავლის შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საკითხი დააყენონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და მკაცრად დასაჯონ ის მუშაკები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება და თავი ვერ გაართვეს მუშაობას;

დ) ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მ/წლის I ივლისამდე.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის ვ. ფოცხვერაშვილის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მისი მოვალეობის დროებით შემსრულებელმა დირექტორის მოადგილემ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში ლ. აბაშიძემ ვერ დარაზმა სკოლა-ინტერნატის მუშაკთა კოლექტივი და სერიოზული ხასიათის დამახინჯებები და დარღვევები დაუშვა მუშაობაში, ახალციხის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ახვლედიანმა ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს წინადადება ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ლ. აბაშიძის სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და მის მაგივრად ამ ადგილზე შესაფერისი კანდიდატის შერჩევის შესახებ.

3. სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობასა და აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. გოგიშვილი და თბილისის № 1 საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. ბაკურაძე გაფრთხილებულ იქნენ.

დაეკალოს ქ. თბილისის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორს სათანადო სასჯელი დაადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ა. ბადალაშვილსა და ვ. თეთრაძეს, მათემატიკის მასწავლებლებს ვ. დათაძეს და ვ. სანაძეს და ფიზიკის

მასწავლებელს ე. ტუხაშვილს ამ საგნების დაბალ დონეზე სწავლების გამო.

წინადადება მიეცეს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. გოგიტაძეს გადასინჯოს მასწავლებელთა შტატი და მომავალი წლიდან თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოს ქართულ ენასა და მათემატიკური დისციპლინებში კვალიფიციური მასწავლებლებით.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბათუმის № 1, ჩაისუბნის, კალდახვარისა და განთიადის № 1 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილული აქვს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, კიცხის სკოლა-ინტერნატის—საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომს, ხოლო ახალდაბის სკოლა-ინტერნატის—ბორჯომის განათლების საბჭოს.

გაფრთხილებულ იქნან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრები, ბორჯომისა და ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებები იმის შესახებ, რომ მომავალში განათლების სამინისტრო ვერ მიიღებს მხედველობაში ვერავითარ შუამდგომლობას ჩაისუბნის, ბათუმის № 1, კალდახვარის, კიცხის, ახალდაბის სკოლა-ინტერნატების დირექტორების მიმართ და მკაცრად დასჯის მათ.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ სახელმძღვანელოების განყოფილებასთან ერთად გაითვალისწინოს სპეციალური სკოლა-ინტერნატებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემა 1967 წლისათვის.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე სისტემატური ზედამხედველობა დააწესოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 24 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

5.3/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. დადგენილება სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ . 3
2. ბრძანება № 1406—სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და სპორტული სახლების ქსელის დამტკიცების შესახებ 9
3. Приказ № 42—О результате обследования учебно-воспитательной работы в школах марнеульского района 17
4. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების საკურსო ღონისძიებათა 1966 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 25
5. ბრძანება № 133—მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების პირველი რესპუბლიკური გამოფენის შესახებ 40
6. დადგენილება 1965—1966 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ 44
7. ბრძანება № 209—ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისა“ და მისი კრებულ—დამატებების სარედაქციო კოლეგიების დამტკიცების შესახებ 59
8. ბრძანება № 225—თეთრი წყაროს რაიონის ბოგვის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 61
9. ბრძანება № 282— თეთრი წყაროს რუსულ საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 65
10. ბრძანება № 298 ქ. გორისა და გორის რაიონის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 67